ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# ბრძანება №1258200

ნომერი: AR1217859

თარიღი : 06.05.2014

გაცემის თარიღი : 07.05.2014

გაცნობის თარიღი : 07.05.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ალ. ყაზბეგი , N 34 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მალხაზ ქუჩულორია პ/ნ 01010009715
- თბილისი შ.ნუცუბიძის ფერდ III მ/რ III კვ. კორ. 10 ბ. 21

ორგანიზაცია:

- შპს `ჯეოესტი` კოდი: 220374235

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 02.05.2014 წ. №1251436 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურს (შემდგომში – არქიტექტურის სამსახური) 06.05.2014წ. №AR1217859 ელექტრონული განაცხადით მომართა მალხაზ ქუჩულორიამ და მოითხოვა არქიტექტურის სამსახურის 02.05.2014 წ. №1251436 ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში ცვლილების შეტანა, კერძოდ ავტოსადგომის ფართობად მითითებული 1076.55 კვ.მ–ის ნაცვლად 1796.05 კვ.მ.–ის დაფიქსირება და შესაბამისად საერო ფართად 16410.55 კვ.მ–ის დაფიქსირება.

არქიტექტურის სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა შემდეგი: 02.05.2014 წ. №1251436 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ალ. ყაზბეგის გამზ. №34–ში, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.14.03.042.144) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2014 წლის 02 მაისიდან 2014 წლის 30 ივნისის ჩათვლით, ხოლო დამკვეთად დაფიქსირდა შპს „ჯეოესტი“ და მალხაზ ქუჩულორია. ამასთან, შესათანხმებლად წარმოდგენილი პროექტისა და თანდართული გეგმების შესაბამისად, ავტოსადგომის საერთო ფართობი შეადგენს 1796.05 კვ.მ.

არქიტექტურის სამსახურის მიერ გადამოწმებული იქნა შეთანხმებული არქიტექტურული პროექტი და დადგინდა, რომ გეგმების მიხედვით ავტოსადგომის ფართს ნამდვილად წარმოადგენს 1796.05 კვ.მ. ხოლო, დამკვეთის მიერ წარმოდგენილ ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში შეცდომით იქნა დაფიქსირებული ავტოსადგომის ფართად 1076.55 კვ.მ., რაც შესაბამისად აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. ამასთა, აღნიშნული ცდომილება გავლენას ახდენს შენობა–ნაგებობის საერთო ფართის ციფრობრივ მაჩვენებელზე, რომელიც 15691.05 კვ.მ. –ის ნაცვლად უნდა იყოს 16410.55 კვ.მ.

საჯარო რეესტრიდან ამონაწერის (რეგისტრაციის ნომერი: 882011104981, მომზადების თარიღი: 05/04/2011 15:46:38; საკადასტრო კოდი №01.14.03.042.144.01.01.022) თანახმად, სამშენებლო მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „ჯეოესტი“ (საიდენტიფიკაციო ნომერი: 220374235). მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის მიხედვით (განაცხადის ნომერი: 611204; განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B13045203: ამონაწერის მომზადების თარიღი: 30/04/2013 16:30:59) შპს „ჯეოესტი“–ს ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი არის მალხაზი ქუჩულორია.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ორგანოს. ვინაიდან, 06.05.2014წ. №AR1217859 განცხადება წარმოდგენილია არქიტექტურის სამსახურის 02.05.2014 წ. №1251436 ბრძანებაში დამკვეთად მითითებული პირისა და იმავდროულად სამშენებლო მიწის ნაკვეთის მესაკუთრის უფლებამოსილი პირის მიერ, ამასთან, შესათანხმებლად წარმოდგენილი პროექტისა და თანდართული გეგმების შესაბამისად ავტოსადგომის საერთო ფართობი ნამდვილად არის 1796.05 კვ.მ., არქიტექტურის სამსახურის მიერ მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული 02.05.2014 წ. №1251436 ბრძანებაში ცვლილების შეტანა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლისა და მე–6 თავის საფუძველზე, ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნას ცვლილება არქიტექტურის სამსახურის 02.05.2014 წ. №1251436 ბრძანებაში და ავტოსადგომის ფართობად დაფიქსირდეს 1796.05 კვ.მ., ხოლო საერთო ფართობად 16410.55 კვ.მ.
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას არქიტექტურის სამსახურის 02.05.2014 წ. №1251436 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7), მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.